



დასკვნა

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტზე

(საბოლოო ვარიანტი)

დასკვნა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (საბოლოო ვარიანტი)

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 138-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნა „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორებისა (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) და ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებსა და მათ აღწერას; ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;
- მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

მთავრობის პასუხისმგებლობა „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალებისა და ქვეყნის ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის იმ დაშვებების

განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომლებსაც „სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი, სადაც გათვალისწინებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რიგი რეკომენდაციები და გაუმჯობესებულია ფისკალური რისკების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დაინერგა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგია (SNA 2008), რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი (შემდგომში - მშპ) და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატები. აღნიშნული მეთოდოლოგიური ცვლილებების, ასევე, მიმდინარე წლის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ტენდენციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) კონსულტაციების შედეგად, 2020 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტში დაკორექტირდა რიგი მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლები. კერძოდ:

- 2020 წლის ნომინალური მშპ-ის საპროგნოზო მაჩვენებელი 4.6 მლრდ ლარით (9.4%-ით, 53.1 მლრდ ლარამდე) გაიზარდა. დაკორექტირდა ასევე 2019 წლის მოსალოდნელი და 2018 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლებიც;
- 2020 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირდა 0.5 პროცენტული პუნქტით და 4.5%-ის დონეზე განისაზღვრა;
- 2020 წლის მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და პროგნოზირებულია 3.5%-ის, მომდევნო წლებში კი - 3%-ის ოდენობით. მშპ-ის დეფლატორისგან განსხვავებით, 2020-2023 წლებისთვის ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი 3.0%-ზე ნარჩუნდება;
- მეორე წარდგენასთან შედარებით უმნიშვნელოდ (13 მლნ ლარით) გაიზარდა 2020 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ნომინალური მოცულობა, თუმცა მშპ-ის საპროგნოზო მაჩვენებლის ცვლილების შედეგად იგი 2.7%-დან 2.5%-მდე შემცირდა;
- „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალის¹ მაჩვენებელი 790 მლნ ლარით გაიზარდა და 22.6 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთანავე, მშპ-ის დათვლის მეთოდოლოგიის ცვლილების შედეგად, მთავრობის ვალი მშპ-ის 44.9%-დან 42.5%-მდე შემცირდა. მეორე მხრივ, მაჩვენებელში მოხდა „საჯარო და კერძო

¹ ვალის წესი - საქართველოს მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-თან არ უნდა აღემატებოდეს 60.0%-ს.

თანამშრომლობის პროექტების“ (PPP) ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებების გათვალისწინება, რომლის მშპ-თან ფარდობა 1.3%-ს შეადგენს. შედეგად, საბოლოო მაჩვენებელმა 43.8% შეადგინა (მშპ-ის ძველი მეთოდოლოგიით დათვლის შემთხვევაში განახლებული მაჩვენებელი 48.0%²-ს გაუტოლდებოდა).

ცხრილი 1. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლები.

დასახელება	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროექტი (II წარდგენა) (1) ³	2020 წლის პროექტი (III წარდგენა) (2)	ცვლილება (2)-(1)
მაკროეკონომიკური მაჩვენებლები				
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	49,077	48,514	53,081	4,567
ეკონომიკური ზრდა	4.8%	5.0%	4.5%	-0.5%
მშპ დეფლატორი	5.0%	3.0%	3.5%	0.5%
ინფლაცია	4.0%	3.0%	3.0%	-
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მლნ აშშ დოლარი)	-720	-792	-627	165
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (% მშპ-სთან)	-4.1%	-4.8%	-3.5%	1.3%
ფისკალური დისციპლინა				
ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი (მლნ ლარი)	1,147	1,321	1,333	12
ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი (% მშპ-სთან)	2.3%	2.7%	2.5%	-0.2%
ბიუჯეტის მოდიფიცირებული დეფიციტი (IMF-ის პროგრამით) (% მშპ-სთან)	2.4%	2.7%	2.5%	-0.2%
მთავრობის ვალი ⁴	19,890	21,789	22,579	790
მთავრობის ვალი/მშპ	40.9%	44.9%	43.8%	-1.1%

წარმოდგენილი კანონპროექტით, მეორე წარდგენასთან შედარებით 514 მლნ ლარით გაიზარდა 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (14.6 მლრდ ლარამდე) და 221 მლნ ლარით - ბიუჯეტის გადასახდელები (14.4 მლრდ ლარამდე). შესაბამისად, შეიცვალა ნაშთის ცვლილების მოცულობაც და წინა წარდგენაში გათვალისწინებული ნაშთის გახარჯვის ნაცვლად (172 მლნ ლარი), იგეგმება 121 მლნ ლარის ნაშთის სახით დაგროვება (იხ. ცხრილი 2).

² აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია PPP ვალდებულებები 693 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო ისტორიული ვალი არ არის გათვალისწინებული.

³ კანონპროექტის მეორე წარდგენის მაჩვენებლები ეფუძნება ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მშპ-ს.

⁴ ისტორიული ვალის გამოკლებით.

ცხრილი 2. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მაჩვენებლები - მლნ ლარი.

დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის კანონი	2020 წლის პროექტი (II წარდგენა) (1)	2020 წლის პროექტი (III წარდგენა) (2)	ცვლილება (2)-(1)
შემოსულობები	12,957	14,040	14,554	514
შემოსავლები	10,540	11,035	11,227	192
არაფინანსური აქტივების კლება	80	120	130	10
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	120	130	130	0
ვალდებულებების ზრდა	2,216	2,755	3,067	312
მათ შორის საშინაო:	900	900	1,200	300
მათ შორის საგარეო:	1,316	1,855	1,867	12
გადასახდელები	13,313	14,212	14,433	221
ხარჯები	9,999	10,670	10,847	177
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,138	2,202	2,221	20
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	209	342	342	0
ვალდებულებების კლება	967	998	1,023	25
მათ შორის საშინაო:	40	44	44	0
მათ შორის საგარეო:	927	954	979	25
ნაშთის ცვლილება	-357	-172	121	293
სახელმწიფო ვალის ნაშთი	20,619	22,646	23,435	789

2020 წლის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდა, კანონპროექტის წინა ვერსიაში წარმოდგენილ მაჩვენებელთან შედარებით, ძირითადად განპირობებულია „ვალდებულებების ზრდისა“ და „შემოსავლების“ მუხლების, შესაბამისად, 312 მლნ და 192 მლნ ლარით ზრდით. „შემოსავლების“ ცალკეული კომპონენტებიდან:

- 145 მლნ ლარით იზრდება 2020 წლის საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებელი, რაც კანონპროექტში წარმოდგენილი ინფორმაციით, განპირობებულია მიმდინარე წლის გეგმური მაჩვენებლის მოსალოდნელი გადაჭარბებით. მათ შორის, გათვალისწინებულია საგადასახადო შემოსავლების ყველა კომპონენტის ზრდა (დღგ-ის 65 მლნ ლარით, მოგების, აქციზისა და საშემოსავლო გადასახადების - 20-20 მლნ ლარით), გარდა იმპორტისა;
- გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი, კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით, 21%-ით (42 მლნ ლარით) იზრდება და 242 მლნ ლარს შეადგენს, რაც ძირითადად განპირობებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების 40 მლნ ლარით (44%-ით) ზრდით.

რაც შეეხება გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებს, წინა წარდგენასთან შედარებით 177 მლნ ლარით იზრდება „ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული თანხა და 10.8 მლრდ ლარს შეადგენს. გაზრდილია ასევე „არაფინანსური აქტივების ზრდის“ და „ვალდებულებების კლების“ მუხლებიც, შესაბამისად, 20 და 25 მლნ ლარით.

გადასახდელების აღნიშნული ზრდის შედეგად 139 მლნ ლარით გაიზარდა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები, 82 მლნ ლარი კი მიიმართება 15 მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების ზრდაზე (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში). მათ შორის:

- საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში 56 მლნ ლარით გაიზარდა საგარეო და საშინაო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის ხარჯები, რაც დაკავშირებულია ვალუტის გაცვლითი კურსებისა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებასთან. 50 მლნ ლარით იზრდება „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი“, 10-10 მლნ ლარით „მთავრობის სარეზერვო ფონდი“ და „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი“;
- მხარჯავი დაწესებულებებიდან ყველაზე დიდი ოდენობით ასიგნებები გაეზარდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს, შესაბამისად, 31 და 21 მლნ ლარის ოდენობით. დანარჩენი 30.4 მლნ ლარი კი ნაწილდება 13 სხვა მხარჯავ დაწესებულებაზე.

კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში „ვალდებულებების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებულია წინა წარდგენასთან შედარებით საშინაო ვალის 300 მლნ ლარით (ჯამურად 1.2 მლრდ ლარით) და საგარეო ვალის 12 მლნ ლარით (ჯამურად 1.9 მლრდ ლარით) ზრდა. საყურადღებოა, რომ პროექტში წარმოდგენილი 2020 წლის საშინაო ვალის ნაშთის მაჩვენებელი (5,467 მლნ ლარი) 2019 წლის ნაშთის გეგმურ მოცულობასთან (4,110 მლნ ლარი) შედარებით 1,357 მლნ ლარით იზრდება. აღნიშნული კი 156.8 მლნ ლარით აღემატება საშინაო „ვალდებულებების ზრდის“ მუხლით დაგეგმილ ოდენობას (1.2 მლრდ ლარი). მიზანშეწონილია, მოცემული მაჩვენებლები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ერთმანეთთან.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ცვლილებების ფარგლებში, კანონპროექტსა და მასზე თანდართულ დოკუმენტებში გათვალისწინებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე“ მომზადებული დასკვნის ფარგლებში გაცემული რიგი რეკომენდაციები. ზოგიერთ შემთხვევაში რეკომენდაციის სრულყოფილად შესრულება საჭიროებს დამატებითი აქტივობების განხორციელებას.

- გაუმჯობესებულია ფისკალური რისკების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი. მათ შორის, დოკუმენტს დაემატა 10 ყველაზე მსხვილი ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) შესახებ ინფორმაცია და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების“ (PPP) ფარგლებში აღებული ვალდებულებების მონაცემები;
- კანონპროექტი მთავრობის ვალის 60%-იან ლიმიტთან მიმართებაში გაანგარიშებისას მოხდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებების გათვალისწინება (მშპ-ის 1.3%-ის ოდენობით);
- განხორციელდა სახელმწიფო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილის სექტორიზაცია IMF-ის საჯარო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) მიხედვით და საჯარო კორპორაციებად ან სახელმწიფო მმართველობის საწარმოებად დაკლასიფიცირებული საწარმოების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ იქნა ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში. საწარმოების დაკლასიფიცირების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ საწარმოთა სექტორიზაციის მიუხედავად, არ მომხდარა სახელმწიფო მმართველობის სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ვალდებულებების გათვალისწინება მთავრობის ვალის მიმართ დადგენილი 60%-იანი ლიმიტის გაანგარიშებაში;
- კანონის პროექტზე თანდართულ ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტს დაემატა ინფორმაცია ალტერნატიული სცენარების რეალიზების შემთხვევაში საშუალოვადიან პერიოდში ერთიანი ბიუჯეტის პოტენციური მაჩვენებლების, მათ შორის, მოსალოდნელი ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტისა და მისი დაფინანსების წყაროების შესახებ.

ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვარიანტთან დაკავშირებით, საყურადღებოა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კანონპროექტის პირველად ვერსიაზე გაცემული ზოგიერთი რეკომენდაცია, რომელიც მიმდინარე მდგომარეობით არ არის გათვალისწინებული:

- მიზანშეწონილია, ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია პოზიტიური და ნეგატიური შოკების შესახებ ასევე შეიცავდეს კონკრეტულ ინდიკატორებს, რომლითაც შესაძლებელი გახდება დოკუმენტში წარმოდგენილი შოკების რეალიზების შეფასება და ანალიზი;

- მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მაკროეკონომიკური ინდიკატორების საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილებების გამოწვევი მიზეზების/ფაქტორების შესახებ კანონპროექტში ანალიზის წარმოდგენაზე მუშაობა;
- მთავრობის ვალის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოსადგენად, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ისტორიული ვალის ზუსტი მოცულობის განსაზღვრა და ვალის ნაშთში წარმოდგენა;
- დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლების რეალისტური საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრისთვის, მიზანშეწონილია დივიდენდების გამანაწილებელი კომისიის შეკრება, რათა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ასახული იყოს დივიდენდების საპროგნოზო მაჩვენებლებში. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ბიუჯეტის კანონის მომზადების პროცესში დივიდენდების გამანაწილებელი კომისია არ შეკრებილა;
- პროგრამული ბიუჯეტი არ წარმოადგენს ბიუჯეტის კანონის ნაწილს და ხასიათდება სისტემური ნაკლოვანებებით, რაც ანგარიშგების ეტაპზე ართულებს პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მუშაობა პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებაზე; ასევე, პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის პროცესთან დაკავშირებით შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობების, შესაბამისი ვადებისა და პასუხისმგებელი უწყებების მითითებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში მოცემული შენიშვნებისა, „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

დანართი

მხარჯავი დაწესებულებები, რომელთაც 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტით შეეცვალათ დაფინანსება წინა ვერსიასთან შედარებით (ათასი ლარი).

პროგ. კოდი	მხარჯავის დასახელება	2019 წლის გეგმა (1)	2020 წლის კანონპროექტი (II წარდგენა) (2)	2020 წლის კანონპროექტი (III წარდგენა) (3)	სხვაობა (3)-(1)	სხვაობა (3)-(2)
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	8,200	6,000	7,000	-1,200	1,000
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,150	4,150	4,250	100	100
09 00	საერთო სასამართლოები	77,750	83,000	84,380	6,630	1,380
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6,050	6,000	6,620	570	620
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	191,130	203,000	224,000	32,870	21,000
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,978,400	4,347,000	4,363,000	384,600	16,000
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,639,500	1,636,000	1,666,545	27,045	30,545
33 00	საქართველოს პროკურატურა	37,270	37,300	41,300	4,030	4,000
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	6,400	6,600	6,800	400	200
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	8,000	8,000	8,300	300	300
38 00	სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150	2,110	2,150	-	40
42 00	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი	58,200	62,800	68,700	10,500	5,900
47 00	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	10,000	10,230	10,580	580	350
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4,050	4,050	4,250	200	200
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,180	1,180	1,530	350	350
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,437,491	2,627,800	2,766,800	329,309	139,000
56 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	1,273,000	1,320,000	1,350,000	77,000	30,000
56 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	318,000	390,000	416,000	98,000	26,000
56 05	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	50,000	40,000	50,000	-	10,000
56 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	20,000	10,000	20,000	-	10,000

56 07	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	410,000	300,000	350,000	-60,000	50,000
-------	---	---------	---------	---------	---------	--------